[stamp] სა... ბიბლიოთეკა ...ბილის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოდის 25-ე წელი

# ახალი ხევი

№ 21 (1530)
კვირა
11
მარტი
1956 წ.

ფასი 10 კაპ

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო
АХАЛИ ХЕВИ Орган Казбегского райкома компартии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, ახალი დიდი ნაბიჯი იქნება წინ სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად უზრუნველყო ქალისათვის ნამდვილი თავისუფლება, მამაკაცთან თანასწორი უფლებანი და განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი საწარმოო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

## საბჭოთა კავშირის მუშა ქალებს, კოლმეურნე ქალებს, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწე ქალებს, ყველა ქალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოესალმება და მხურვალედ ულოცავს საბჭოთა ქალებს ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს.

წელს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ საყოველთაო სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდებული პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია დიდი ზრუნვით მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მტკიცე რწმენით ჩვენი ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალებისადმი. ხალხის დიდი შემოქმედებითი საქმიანობა. საბჭოთა წყობილების გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე იმის საწინდარია, რომ სოციალიზმი უთუოდ და სავსებით გაიმარჯვებს კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ადამიანებმა მიიჩნიათ პარტიის კოლექტიური სიბრძნის გამოხატულებად, პარტიისა, რომელსაც ლენინიზმის დროშით მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, ახალი დიდი ნაბიჯი იქნება წინ სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად უზრუნველყო ქალისათვის ნამდვილი თავისუფლება, მამაკაცთან თანასწორი უფლებანი და განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი საწარმოო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა საზოგადოებაში ქალები კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილეები არიან. სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ისეთი პირობები, რომლებშიც სრულად გამოვლინდა ჩვენი სამშობლოს სახელოვანი ქალიშვილების უშრეტი ენერგია, ინიციატივა, უჩრცხელი ნიჭი და ტალანტი. მილიონობით ქალი, მუშაობს რა მთელ ხალხთან ერთად ფაბრიკებში, ქარხნებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, სკოლებსა და ინსტიტუტებში, ქმნის უდიდეს მატერიალურ და სულიერ ფასეულობას, დაუცხრომლად იბრძვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აღწევს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის განუხრელ ზრდას, ასრულებს დედის—მოზარდი თაობის აღმზრდელის საპატიო მოვალეობას.

ჩვენს ქვეყანაში ქალთა წინაშე ფართოდ არის ღია სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კარები. საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ სსრ კავშირში უმაღლესი განათლების მქონე ყველა სპეციალისტთა შორის ქალები შეადგენენ 53 პროცენტს, ექიმთა შორის—76 პროცენტს, მასწავლებელთა შორის—70 პროცენტს. იმ მუშაკთა შორის, რომლებიც სამეცნიერო-სასწავლო და კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობენ,—67 პროცენტზე მეტს, 10 ათასამდე ქალს აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება.

ასრულებენ რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა სახელმწიფო საქმეში. ათიათასობით საბჭოთა ქალი ხელმძღვანელობს სოციალისტურ საწარმოებს, მეთაურობს დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ქალთა დამსახურება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში პოულობს ხალხის ფართო აღიარებას და მას მაღალ შეფასებას აძლევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი ხალხი დიდ, გულითად მადლობას უხდის საბჭოთა ქალებს — დედებს, რომლებიც თავიანთი გულის სიყვარულსა და სითბოს ანდომებენ კომუნიზმის მშენებელთა მოზარდი თაობის აღზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის 30 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავლის 40 პროცენტით გადიდებასთან ერთად, 7 საათის სამუშაო დღის შემოღებასთან ერთად, გათვალისწინებულია ქალების — დედების შრომისა და ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების დიდი ღონისძიებანი. გაიზრდება შვებულების ხანგრძლივობა ორსულობისა და მშობიარობის გამო, მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამშობიარო სახლების, საბავშვო კონსულტაციების, რძის სამზარეულოების, ბაგებისა და ბაღების ქსელი, შეიქმნება სკოლა-ინტერნატები, გადიდდება კვების ნახევარფაბრიკატების, გაფართოვდება სასადილოების ქსელი, საყოფაცხოვრებო საჭიროების მომსახურების მანქანების წარმოება.

საბჭოთა კავშირში ქალთა მდგომარეობის მაგალითით მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები ხედავენ, რომ ქალთა ნამდვილი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის გზით, მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში. ამას მოწმობს აგრეთვე ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის გამოცდილება, სადაც ათ წლიწადში ქალთა ფაქტიური თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გაცილებით მეტია გაკეთებული, ვიდრე ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში გაკეთდა ას წლიწადში.

სხვა ვითარებაში ხვდებიან საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მშრომელი ქალები კაპიტალისტურ ქვეყნებში. გამალებული შეიარაღების, აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკა, რომელსაც გარკვეული იმპერიალისტური წრეები ახორციელებენ, და ამასთან დაკავშირებული გადასახადების გადიდება, სიძვირის ზრდა, შრომის ინტესიფიკაციის გაძლიერება, ქრონიკული უმუშევრობის შენარჩუნება მძიმე გავლენას ახდენს მშრომელთა მასების და განსაკუთრებით ქალების მდგომარეობაზე.

კაპიტალისტური ქვეყნების ქალები სულ უფრო აქტიურად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, აგრესიული ძალების მიერ ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ. კაპიტალისტური ქვეყნების ქალები სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ქალებთან ერთად მოითხოვენ ატომური, თერმოატომგულისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას, მოითხოვენ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას, ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას. ყველა ქვეყნის ქალთა დემოკრატიულ მოძრაობას მორალურად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები. საბჭოთა კავშირის, დიდი ჩინეთისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ქალები თავიანთი წარმატებებით აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს ქალებს, უნერგავენ მათ რწმენას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 8 მარტის დღესასწაულის დღეს საბჭოთა ქალებს უსურვებს შემდგომ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, მრავალმხრივ სახელმწიფოებრივ, საწარმოო, სამეცნიერო და კულტურულ მოღვაწეობაში, ბავშვების, ჩვენი ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები მთელ ხალხთან ერთად თავიანთი თავდადებული შრომით კვლავაც განამტკიცებენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, გაამრავლებენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, იქნებიან მთელი მსოფლიოს ქალთა პირველ რიგებში ყველა სადაო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ხალხთა შორის მეგობრობისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა შორის ინტერნაციონალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიდება საბჭოთა ქალებს—კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

## ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები

9 მარტს რაიონის მშრომელმა მოსახლეობამ უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ბრძენი ბელადის, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი.

წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში გაიმართა მიტინგები, სადაც დამსწრეებს მოუთხრობდნენ ი. ბ. სტალინის მოღვაწეობაზე, მის დაულალავ შრომასა და ბრძოლაზე ხალხთა ბედნიერებისათვის.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სოფელ ყაზბეგში. პარტრაიკომის სხდომათა დარბაზი ხალხითაა გამედილი. მოხსენებას— ი. ბ. სტალინი ლენინის საქმის დიდი განმგრძობი, კითხულობს ვ. ფირანიშვილი, რის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ფ. ფიცხელაური, ა. მიხაკოვი, ქ. ფიცხელაური, ვ. ქუშაშვილი, ხ. წიკლაური, მ. თარხნიშვილი, გ. წიკლაური, ხ. ქუშაშვილი, ნ. ქირიკაშვილი და ზ. ხეთაგური.

ნ. შალვაძე.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

## ყრილობის დღიური

24 თებერვლის დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. მ. გ. პერვუხინის თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა კამათი ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

პირველი გამოვიდა ამხ. **ს. გ. რაგიმოვი** (აზერბაიჯანის პარტორგანიზაცია). მას მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის წარმატებებს. განვლილ ხუთწლედში რესპუბლიკაში შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები — შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა. ბამბის წარმოება ხუთწლედში ერთი ორად გადიდდა. მარცვლეულის მოსავალი ერთნახევარჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში აღმოჩენილია ნავთობის ახალი საბადოები, რაც საშუალებას გვაძლევს წარმატებით შევასრულოთ ნავთობის ამოღების გეგმა, გათვალისწინებული დირექტივების პროექტით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **მ. დ. კოვრიგინას.** იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც დასახულია პარტიის XX ყრილობის დირექტივებში, ამბობს იგი, საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავაფართოოთ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა ექიმთა კადრების უკეთ განაწილება.

აკადემიკოსმა **ტ. დ. ლისენკომ** თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც პარტიამ დასახა მეექვსე ხუთწლედში მიწათმოქმედების დარგში, დიდი როლი უნდა შეასრულოს ბიოლოგიის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ. მაგრამ ეს მეცნიერება ჯერ კიდევ ბევრ მხრივ ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნილებებს. ასეთი ჩამორჩენის მთავარი მიზეზია მეცნიერების არასაკმაო კავშირი პრაქტიკასთან.

ამხ. ლისენკო შემდეგ ლაპარაკობს მინერალური და ადგილობრივი სასუქების რაციონალური გამოყენების ამოცანებზე. თავის სიტყვაში მან დიდი ადგილი დაუთმო სიმინდის ჰიბრიდული თესლის მოყვანისა და მეცხოველეობაში ჰიბრიდიზაციის პრინციპის ფართოდ გამოყენების საკითხებს. დასასრულ მან თქვა:

— ნება მიბოძეთ სულითა და გულით გამოვთქვა მადლობა იმისათვის, რომ მე, უპარტიო მეცნიერი, მომიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე. დიდად ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა უდიდესი პარტიული სკოლა გამევლო ყრილობაზე, რომელიც მოასწავებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ამხ. **გ. ს. ხლამოვი** ამბობს, რომ მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდება სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ტრაქტორების გამოშვება 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ერთი ორად გადიდდება, მარცვლეულის კომბაინებისა — ერთისამად. შეიქმნება ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ორატორი ლაპარაკობს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კომისიამ, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის მოსამზადებლად, დაამთავრა მუშაობა და კენჭს უყრის რეზოლუციის პროექტს.

ყრილობა ერთხმად იღებს რეზოლუციას.

შემდეგ ყრილობა ამტკიცებს რეზოლუციას პარტიის წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ, რის შემდეგ გრძელდება ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების განხილვა.

სიტყვას ამბობს ამხ. **ს. კამალოვი** (უზბეკეთის პარტორგანიზაცია). მეხუთე ხუთწლედში, ამბობს იგი, უზბეკეთის მრეწველობამ 62 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება წინა ხუთწლედთან შედარებით. სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად რესპუბლიკაში მიმდინარეობდა უზბეკი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის საერთო აღმავლობა. შემდეგ ამხ. კამალოვი ლაპარაკობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე მეექვსე ხუთწლედში.

ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვმა** აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აამაღლა საბჭოთა მეურნეობების როლი და მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში, გვიჩვენა საბჭოთა მეურნეობების წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოების პერსპექტივა.

ამჟამად, ამბობს იგი, საბჭოთა კავშირში არის 5 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მათ აითვისეს 13,6 მილიონი ჰექტარი ახალი მიწა. ყამირ მიწებზე მოწყობილია 425 დიდი მეურნეობა, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით. მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება მიაღწევს 900 მილიონ ფუთს, რძის წარმოება გადიდდება 2,8 ჯერ, ხორცისა და მატყლის წარმოება ერთიორად გაიზრდება.

ამხ. **პ. ფ. ლომაკო** ლაპარაკობს ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მეექვსე ხუთწლედში 2,3-ჯერ გადიდდება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **მ. ა. ევსეენკოს.** მეექვსე ხუთწლედში ამბობს იგი, ნავთობის მრეწველობის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები. ნავთობის ამოღებამ 1960 წელს უნდა შეადგინოს 135 მილიონი ტონა. გაზის მოპოვება და წარმოება 1960 წელს მიაღწევს 40 მილიარდ კუბურ მეტრს. განხორციელდება 132 ქალაქის გაზიფიკაცია, აიგება 9 ათასი კილომეტრი გაზსადენი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამხ. ბულგანინის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 34 კაცმა. პრეზიდიუმში შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი. ეს წინადადება მიიღეს.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამხ. ბულგანინი უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე, რადგან კამათში გამოსული ყველა ამხანაგი ეთანხმება მისი მოხსენების ძირითად დებულებებს და დირექტივების პროექტს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარმოადგინა.

ამხ. **ნ. ა. მუხიტდინოვის** წინადადებით, რომელიც მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლიტვისა და თურქმენეთის დელეგაციათა სახელით გამოვიდა, ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო:

1. მიღებულ იქნას საფუძვლად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შემოიტანა.

2. დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად არჩეულ იქნეს ყრილობის კომისია.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა იმ კომისიის შემადგენლობა, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესწორებებსა და დამატებებს.

უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების სახელით ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები: **პ. დე გროოტი** (ნიდერლანდი), **დ. ურბანი** (ლუქსემბურგი), **ტ. ბაკი** (კანადა), **ალი იათა** (მაროკო), **ე. ჰილი** (ავსტრალია), **ე. ტორბიარნარსონი** (ისლანდია), **მ. ენაფაა** (ტუნისი).

სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ ამხ. მ. გ. პერვუხინმა თქვა:

ჩვენ მოვისმინეთ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი. ყრილობის სახელზე მიღებულია აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების კომუნისტური, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი წერილობითი მისალმება. ბევრი მისალმება მიიღო ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. მისალმებებში წარმატებით მუშაობას უსურვებენ ყრილობას და შემდგომ აღმავლობასა და კეთილდღეობას საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს.

ნება მიბოძეთ XX ყრილობის სახელით ჩვენი დიდი მადლობა ვუძღვნა მოძმე პარტიებსა და ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მიესალმნენ ჩვენი პარტიის ყრილობას, და ვუსურვო მათ საუკეთესო წარმატებანი მუშაობაში.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სახელით განვუცხადოთ თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის საქმე, მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესის საქმე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები ყველაფერს გააკეთებენ, რათა პირნათლად შეასრულონ პარტიული ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, და არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა განამტკიცონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ამით სხდომა დაიხურა (საკდესი).

## საბოლოო სხდომა

25 თებერვალს კრემლში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

საბოლოო სხდომაზე ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ჟ. ი. გრომოვის** ცნობა პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ. დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ცნობას პარტიის ცენტრალური ორგანოების ერთსულოვნად არჩევის შესახებ.

ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვს** პრეზიდიუმის სახელით ყრილობის განსახილველად შეაქვს პროექტი დადგენილებისა პარტიის ახალი პროგრამის მომზადების შესახებ, ყრილობა ერთსულოვნად იღებს ამ დადგენილებას.

სხდომის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია და ყრილობას დახურულად აცხადებს. ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და უდიდესი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს". დარბაზში იმართება მქუხარე ოვაციები. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!", „გაუმარჯოს ლენინიზმს!".

## ნერუს განცხადება

დელი, 5 მარტი. (საკდესი). როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო გადმოგვცემს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გუშინ სავაჭრო და სამრეწველო პალატების ფედერაციის ყოველწლიური სესიის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „შეგნებულად თუ შეუგნებლად, მსოფლიო მიდის სოციალისტური ეკონომიკისაკენ".

ახლანდელ პირობებში, თქვა ნერუმ, შეუძლებელია რაიმე სხვა გზა. მხოლოდ სოციალისტურ სისტემას შეუძლია მოხსნას ყველა კლასობრივი კონფლიქტის საფუძველი და უზრუნველყოს კაცობრიობის პროგრესი მშვიდობიანი საშუალებებით.

ნერუმ მოუწოდა დამსწრეთ ეროვნული და საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის დროს ახალი კატეგორიებით იაზროვნონ".

რედაქტორი გ. ჩაბაკაური.

ყაზბეგი გაზეთ „ახალი ხევი"-ს სტამბა ტირაჟი 1100